ახალი განათლება

2012 წელი, 20 - 26 სექტემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№26 (580) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ბილოკავთ ახალ სასწავლო წელს

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2012

2012 წლის გამოცდებმა მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ექსცესებისა და ინციდენტების გარეშე ჩაიარა. 28 ივნისს, საქართველოს მასშტაბით, 12 ქალაქში 17 საგამოცდო ცენტრი გაიხსნა. საგამოცდო ოთახები 850-მდე ვიდეოთვალითა და 9000-ზე მეტი ახალი მერხით იყო აღჭურვილი. საგამოცდო პროცესს 1260 დამკვირვებელი ადევნებდა თვალყურს. ასეთი ფორმატით ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს უკანასკნელად ჩატარდა. მომავალი წლიდან ახალი საგამოცდო მოდელი 8+1 ამოქმედდება.

ყველაზე მოთხოვნადი უმაღლესები
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (ქ. გორი)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი)
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი (ხულო)
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

2012 წელს დარეგისტრირდა 36 360 აბიტურიენტი, გამოცდებზე არ გამოცხადდა მხოლოდ 2%, სტუდენტი გახდა 24 502 (71%). (2011 წელს სტუდენტი გახდა 23 209 აბიტურიენტი).

აბიტურიენტებმა, წინა წლებთან შედარებით, უკეთესი შედეგი აჩვენეს შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ბიოლოგია.

ყველაზე მაღალი კონკურსი, პირველი არჩევანის მიხედვით, დაფიქსირდა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, სამხედრო ავიაციაზე – 1/12.

ყველა აბიტურიენტს, რომელიც წელს ვერ გახდა სტუდენტი, საშუალება ეძლევა, ნოემბრის ბოლოს ხელახალი რეგისტრაცია გაიაროს, იანვრიდან ეტაპობრივად ჩააბაროს ოთხივე სავალდებულო გამოცდა და მონაწილეობა მიიღოს 2013 წლის ჩარიცხვებში. ყველა სხვა დეტალი, ნოემბრის ბოლომდე, განთავსდება ვებგვერდზე – www.naec.ge.

აბიტურიენტთა რეგისტრაცია ისევ ელექტრონულად იწარმოებს. რეგისტრაციის დაწყებამდე, რა თქმა უნდა, უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალი განთავსდება ჩვენს ვებგვერდზე და დამზადდება აბიტურიენტის ცნობარი.

იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც წელს ყველა საგანში გადალახეს კომპეტენციის ზღვარი და ვერ გახდნენ სტუდენტები, მინისტრის გადაწყვეტილებით, საშუალება მიეცათ მეორად ჩარიცხვებში მიეღოთ მონაწილეობა და უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილი ვაკანტური ადგილები დაეკავებინათ. ასე რომ, მეორადი ჩარიცხვების შედეგად, კიდევ 1000-მდე აპლიკანტი გახდა სტუდენტი.

აბიტურიენტს საშუალება ექნება, მონაწილეობა მიიღოს 2013 წლის ჩარიცხვებში და ზაფხულში გაიგოს საბოლოო შედეგები.

8+1 მოდელი 2013 წლიდან ამოქმედდება, გამოცდას ყველა აპლიკანტი საკუთარ სკოლაში, იმ მშობლიურ გარემოში ჩააბარებს, სადაც 12 წელი სწავლობდა, რაც, ვფიქრობთ, საგრძნობლად შეამცირებს საგამოცდო სტრესს. გარდა ამისა, აპლიკანტებს საშუალება ექნებათ, უმოკლეს დროში, შეიტყონ საბოლოო შედეგები. ყველა სხვა დეტალი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

8+1 მოდელზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც საგამოცდო დეტალებს სექტემბრის ბოლოს გამოაცხადებს.

ეროვნული გამოცდების ცენტრი

სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება

2012-2013 სასწავლო წელს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

2012-2013 სასწავლო წელს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსებისთვის გამოყოფილია 1 118 208 (ერთი მილიონ ას თვრამეტი ათას ორას რვა) ლარი.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიებში შემავალ გარკვეული რაოდენობის სტუდენტებს (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის N300 დადგენილება).

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

I. სოციალური პროგრამა სფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და განეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

♦ სტუდენტები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (შემდგომში ოკუპირებული ტერიტორია) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნიციპალიტეტში;

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთას, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში;

გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში.

♦ სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

♦ სტუდენტები, რომლებიც არიან ობოლნი (უდედმამო);

♦ სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

♦ <u>სტუდენტები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.</u>

II. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა შემდეგი მიმართულებებისა ან დარგების/სპეციალობებისა: ა) სამართალი; ბ) ჯანდაცვა; გ) ბიზნესის ადმინისტრირება, გარდა ტურიზმისა; დ) მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა; ე) საერთაშორისო ურთიერთობები; ვ) საჯარო მმართველობა და განეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

♦ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აქედან:

♦ მესტიის მუნიციპალიტეტში;
♦ ლენტეხის მუნიციპალიტეტში;
♦ ონის მუნიციპალიტეტში;
♦ ქედის მუნიციპალიტეტში;
♦ ხულოს მუნიციპალიტეტში;
♦ შუახევის მუნიციპალიტეტში;
♦ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში;
♦ დუშეთის მუნიციპალიტეტში (ბარისახოს, შატილის, ქვეშეთის, მლეთას, მაღაროსკარისა და გუდამაყრის სკოლებში);
♦ ადიგენის მუნიციპალიტეტში;
♦ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში;
♦ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;
♦ წალკის მუნიციპალიტეტში;
♦ დმანისის მუნიციპალიტეტში;
♦ ახმეტის მუნიციპალიტეტში (პანკისის ხეობისა და ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში);
♦ ასპინძის მუნიციპალიტეტში.

♦ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

♦ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

♦ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

♦ სტუდენტები, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;

♦ სტუდენტები, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;

♦ სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე;

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, იგი გადაეცემათ :

♦ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს, რომლებიც ჩარიცხულები არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, 2011-2012, 2010-2011, 2009-2010, 2008-2009, 2007-2008 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში;

♦ <u>მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, 2011-2012, 2010-2011, 2009-2010, 2008-2009, 2007-2008, სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში.</u>

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 06 აგვისტოს №915 ბრძანებით.

განცხადება დაფინანსების მისაღებად, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში – საგანმანათლებლო რესურსცენტრში, 2012 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ახალი პროგრამა – „პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები“ ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს მასშტაბით, ოც ქალაქში ერთდროულად, 20 000 ადამიანს ჩაუტარდება უფასო ტრენინგები. პროგრამის მონაწილეები ინგლისურ ენაში, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ორიენტაციაში გადამზადდებიან. პროექტი ახალ გზებს უხსნის 22 წლის და ზევით ადამიანებს – გაიღრმავონ ცოდნა და მოემზადონ მომავალი დასაქმებისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე რუსთავის გადამზადების ცენტრს ეწვია და მსმენელებს შეხვდა. ტრენინგები 15 სექტემბერს დაიწყო და 15 ნოემბერს დასრულდება.

პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგების ცენტრები შემდეგ ქალაქებში გაიხსნა: **რუსთავი, თელავი, გურჯაანი, გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, ტყიბული, ონი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, ოზურგეთი, მესტია.**

სამუშაო ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში საჭიროა, დაუსაქმებელ ადამიანს ჰქონდეს ის უნარ-ჩვევები, რომელიც დაეხმარება საკუთარი თავის პრეზენტაციაში დამსაქმებლის წინაშე, ასევე, აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომელიც მას გაუადვილებს გზას დამსაქმებლამდე, დაეხმარება ამ გზების მოძიებაში და საბოლოო მიზნის მიღწევაში. გარდა

პროფესიისა, მას სჭირდება ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ – კომპიუტერული უნარ-ჩვევებისა და ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა.

ტრენინგები მონაწილეებს დაეხმარება: აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი მხარეები; როგორ დაგეგმონ კარიერა; როგორ სრულყონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ დამსაქმებლის წინაშე წარსადგენად სჭირდებათ. ტრენინგები მიზნის მიღწევაში იმ ადამიანებსაც დაეხმარება, ვისაც სურთ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი. ისინი შეძლებენ: შეიმუშაონ ბიზნესიდეა, აირჩიონ ბიზნესის სახეობა, შეადგინონ ბიზნესგეგმა, გაიზიარონ მცირე ბიზნესის მართვის პრინციპები, ისწავლონ ფინანსების მოძიების ხერხები, შექმნან საკუთარი სამეწარმეო ორგანიზაცია და უხელმძღვანელონ საქმიანობას.

წლების განმავლობაში რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს, სასწავლო ცენტრებისა და ინტერნეტიზაციის არარსებობის, განუვითარებელი ინფრასტრუქტურისა და არასაკმარისი სამუშაო ადგილების გამო, არ მიეცა ზემოთ აღნიშნული უნარების განვითარების საშუალება. მას შემდეგ, რაც ინფრასტრუქტურა განვითარდა, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, დამსაქმებლებს გაუჩნდათ კვალიფიციური კადრების პრობლემა.

პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონების გაძლიერებას. შეიქმნება კონკურენტული სამუშაო ძალა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე ადგილობრივი ბიზნესის მდგრადობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. აღნიშნული სამუშაო ძალა გახდება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და მდგრადობის გარანტია რეგიონის სტრუქტურებისთვის.

* * *

2012 წელს, საქართველოს მასშტაბით, 83 საჯარო სკოლაში „მომავლის კლასი“ მოეწყო. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი „მომავლის კლასები“ ყველა რეგიონის დიდი ქალაქების სკოლებში გაიხსნება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ თბილისის 24-ე საჯარო სკოლის „მომავლის კლასი“ დაათვალიერა.

„მომავლის კლასი“ ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი. დამონტაჟებულია ინტერაქტიული სმარტდაფა და თოთხმეტი მონიტორი. ულტრათანამედროვე ტექნიკის საშუალებით მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ ჩაატარონ ინტეგრირებული გაკვეთილები, დამონტაჟებული მონიტორები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს. „მომავლის კლასებიდან“ შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ ყველა „მომავლის კლასთან“ ონლაინ ჩართვა.

გაკვეთილზე მასწავლებელს საშუალება აქვს, მონიტორის საშუალებით, თვალყური ადევნოს მოსწავლეების მუშაობის პროცესს, საჭიროების შემთხვევაში, გაუწიოს დახმარება, გაუგზავნოს კომენტარი.

მრავალფუნქციურ საკლასო ოთახში შესაძლებელია ჩატარდეს ინგლისურის, ქართულის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, გეომეტრიის გაკვეთილები. სხვადასხვა საგნების სწავლებისას გამოყენებულ იქნეს ვირტუალური ლაბორატორიები და სასწავლო „იარაღები“ (სახაზავი, ტრანსპორტირი, ფარგალი და სხვადასხვა ფიგურების ასაგები ხელსაწყოები). მოსწავლეებს საშუალება აქვთ, შეინახონ და შემდგომ გამოიყენონ ჩატარებული გაკვეთილების ელექტრონული ვერსიები. მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია და აუდიოსისტემა ახალი მასალის ეფექტური პრეზენტაციის საშუალებას იძლევა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების „კერძო სექტორის განვითარების პროგრამებს“ – Deutsche Gesellschaft fur Internationale Zsammenarbeit (GIZ) GmbH შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი ეხება GIZ-ის მხრიდან სამინისტროსადმი შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკის სფეროში დახმარების გაწევის საკითხს.

აღნიშნული მემორანდუმით განსაზღვრულია პარტნიორების პასუხისმგებლობები და ვალდებულებები პროფესიული განათლების ისეთ სფეროებში თანამშრომლობისთვის, რო-

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში

იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თერთმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან იმუშავებენ 2013-2015 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: ***კახეთი, მცხეთა-მთიანეთი*** (ახალგორის მუნიციპალიტეტის გარდა), **ქვემო ქართლი, შიდა ქართლი** (მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტი), **სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი** (*საჩხერის მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ქალაქი საჩხერე*), ***სამეგრელო*** (აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები), **რაჭა-ლეჩხუმი**.

თუ თქვენი სკოლა ზემოთ აღნიშნულ რეგიონშია, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **26 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2013-2015 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ბ, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: **education@ge.peacecorps.gov**

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შეესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **15 ოქტომბერი, 2012 წელი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
განათლების პროგრამის ხელმძღვანელებს: **ასმათ სიხარულიძეს** (აღმოსავლეთი) ან **თეო ნეფარიძეს** (დასავლეთი).

ტელეფონი: (0 32) 224 12 24; ფაქსი: (032) 239 91 06

გორიცაა: პროფესიული განათლების შესაბამისობა, დაფინანსება, დიალოგი, მონიტორინგი, პროფესიული განათლების იმიჯი და ხარისხის გაუმჯობესება.

GIZ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2009 წლიდან თანამშრომლობს და ახორციელებს სამინისტროს მხარდაჭერას პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესში, შესაძლებლობების განვითარებისა და რჩევების დახმარებით. ხელმოწერილი მემორანდუმი სამინისტროსა და GIZ-ს შორის ჩამოყალიბებული დინამიური თანამშრომლობის გამყარების შესაძლებლობას იძლევა.

* * *

საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები ცნობილია. წელს 4852 აპლიკანტმა შეძლო მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა და საშუალება აქვს, სასურველ უნივერსიტეტში შიდა გამოცდები ჩააბაროს.

2012 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდაზე 7564 სტუდენტი დარეგისტრირდა. გამოცდაზე არ გამოცხადდა მხოლოდ 7%, აპელაციაზე განაცხადი შემოიტანა მაგისტრანტობის 111 მსურველმა, ქულა შეეცვალა 16 აპლიკანტს.

საერთო სამაგისტრო გამოცდა 2009 წლიდან ტარდება და მისი მიზანია: დაეხმაროს უმაღლეს სასწავლებლებს მაგისტრანტების შერჩევაში; გამორიცხოს მაგისტრატურაში ისეთი სტუდენტების მიღება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სწავლების ამ საფეხურისათვის აუცილებელ მოთხოვნებს; უზრუნველყოს მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცესის მეტი ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად მაგისტრანტობის მსურველმა 4 ტესტური ნაწილიდან სამში მაინც უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

მაგისტრების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 000 000 ლარია გამოყოფილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საგანმანათლებლო კერა

სოფელ უდის სკოლა – განათლების უძველესი კერა სამცხეში

დაარსებიდან 130 წლისთავის გამო

სოფელი უდე

უდე ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი წარსულის მქონე სოფელია სამხრეთ საქართველოში – სამცხეში. მოძიებული არქეოლოგიური მასალებით, სოფლის ხანდაზმულობა განისაზღვრება ენეოლით-ადრე ბრინჯაოს პერიოდით. უდეს, მესხეთის სხვა სოფლების მსგავსად, მოუხდა თურქთა ბატონობის მძიმე უღლის ტარება, რომლისგანაც 1828 წლის ზაფხულში განთავისუფლდა. თურქთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, მოსახლეობამ შეინარჩუნა ენაც და სარწმუნოებაც. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) ქვაბლიანის მხარეში, ახალციხის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად უდეს თვლიდა.

სოფელ უდეში აღზრდილ მამულიშვილთა შორის ღირსეული ადგილი უკავია სტეფანე აღოშაშვილს, რომელმაც ქართულად თარგმნა „მოთხრობა დაბადებისა ძველი და ახალი აღთქმისა“. სოფლის მკვიდრი იყო გრიგოლ მერაბიშვილი, რომელმაც 1834 წელს შეადგინა „ფრანგული ენის თვითმასწავლებელი“. მისი ნაშრომი საკმაოდ გვიან, 1899 წელს, გამოიცა ბათუმში. მანვე შეადგინა „იტალიურ-ქართული ენის თვითმასწავლებელი“. ეთიოპიაში წლების მანძილზე მოღვაწეობდა პეტერ მერაბიშვილი, რომელმაც ადისაბებაში დაარსა აფთიაქი „საქართველო“.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და შეუერთდა საქართველოს, იგი იმავდროულად აღმოჩნდა მეორე დამპყრობლის – რუსეთის ხელში, რომელმაც იმთავითვე დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. რეალური საფრთხე შეექმნა ყოველივე ეროვნულს – ქართულ ენას, წესს, ჩვეულებას, ტრადიციას. აქედან გამომდინარე, ეპოქის უპირველეს მოთხოვნად იქცა მოსახლეობაში განათლების შეტანა და მისი კულტურული დაწინაურება. რამდენადაც ტრადიციულად ქართულ ოჯახში ქალი იყო მიჩნეული ძირითად აღმზრდელად და ეროვნული ტრადიციების დამცველად, აუცილელებელი გახდა განსაკუთრებით ქალთა განათლება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქთა მრავალწლიანმა ბატონობამ მძიმე ვითარება შექმნა საერთოდ განათლების სფეროში. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, აქაური ხალხი განსაკუთრებით ერიდებოდა გოგონების სკოლაში გაგზავნას (ვაჟების გვერდით და ისიც მამაკაც მასწავლებელთან მეცადინეობას – აქ აშკარად ჩანს მაჰმადიანური თურქეთის გავლენა).

ცოტა მოგვიანებით, გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე მოთავსებული ერთ-ერთი კორესპონდენცია ნათელ წარმოდგენას იძლევა ყოველივე ამის შესახებ: *„გოგონებმა უჩიტელთან როგორ შეიძლება ისწავლონ. უჩიტელი რომ ქალი იყოს, მაშინ კიდევ შეიძლებაო“, – ასე მსჯელობდნენ როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი მესხები. კათოლიკე პატარა ქალები უმეტესად მოხუცებულ დედაკაცებთან სწავლობდნენ ქართულ ლოცვებს და შემდგომ შემოკლებულ და ვრცელ საქრისტიანო მოძღვრებას – ხელნაწერი წიგნებით. მასწავლებელ დედაკაცებს „ოსტატებს“ ეძახდნენ. ხელნაწერთა წიგნების სწავლების შემდეგ ოსტატები ბეჭდურის კითხვას ასწავლიდნენ. დაბეჭდილ წიგნთა შორის ხმარებაში უფრო მეტად რომში გამოცემული საღმრთო წერილის წიგნები ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ სასყიდელს „ოსტატები“ შეგირდებისაგან არ იღებდნენ, ხოლო შემდეგ, როცა შეგირდი დაქალდებოდა და გათხოვდებოდა, მათი მეჯვარეები ვალდებულნი იყვნენ „საოსტატო“ გადაეხადათ, რაც საშუალოდ შვიდი აბაზიდან ორ მანეთამდე ჯდებოდა. როგორც ჩანს, ეს წესვეულება ძველად მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული“.*

მას შემდეგ, რაც მეფის ხელისუფლებამ გააუქმა ქართული ეროვნული სასწავლებლები და რუსული სკოლების დაარსებას შეუდგა, განსაკუთრებით უმძიმესი მდგომარეობა იყო ქალთა განათლების სფეროში. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დიდი იყო ე.წ. „ოსტატების“ საქმიანობა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნულ პერიოდში, სამცხე-ჯავახეთში, ქალთა განათლების ერთ-ერთ ფორმად იქცა ე. წ. საშინაო-საოჯახო სკოლები. ასეთი სკოლები გოგონებისათვის მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებით არ შემოიფარგლებოდა. მათ აგრეთვე ასწავლიდნენ: ანგარიშს, ლოცვებს, ეტიკეტს – ე.ი. საზოგადოებაში ქცევის წესებს და, რაც მთავარია, ქალის ხელსაქმეს: ჭრას, კერვას, ქარგვას, ქსოვას და ა.შ. საერთოდ, საშინაო სკოლების მიზანი გლეხთა და ხელოსანთა ოჯახებიდან გამოსული გოგონებისათვის ელემენტარული განათლების მიცემა იყო. XIX საუკუნის I ნახევრის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ასეთი სკოლა ფუნქციონირებდა, რომელთაც იმ დროის შესაფერისად განათლებული ქალბატონები უძღვებოდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფელ უდეში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ქალბატონები: **ანა თომას ასული ბალახაშვილი და პელაგია პეტრეს ასული სარაშვილი.** ისინი ამ სოფელში სკოლის გახსნამდეც (1882წ.) და შემდგომ პერიოდშიც – ათწლეულების მანძილზე უფასოდ ემსახურებოდნენ გოგონების აღზრდის საქმეს. წერა-კითხვასთან ერთად ასწავლიდნენ ხელსაქმეს. ამდენად, იყვნენ ე.წ. „ოსტატები“ – სოფელ უდის ერთ-ერთი პირველი განმანათლებელნი. ანა ბალახაშვილი 1919 წელს, 75 წლის ასაკში, თანასოფლელებთან ერთად, სასტიკი წამებით მოკლეს იქ შეჭრილმა თურქებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართველ კათოლიკეთა განათლების საკითხს, ითვალისწინებდა რა მათ მდგომარეობას, ე.ი. ქართული ტიპიკონის უქონლობის გამო მათი გასომხების საშიშროებას. აღნიშნულს ასაბუთებს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი: *„ეს საზოგადოება მოვალეა ყოველს საქართველოს სახალხო შკოლას მიეცეს შემწეობა, მხოლოდ იქ, სადაც ქართველები არიან, ანუ ქართველი კათოლიკეები“.*

სწორედ ერთ-ერთ ასეთ სოფელს წარმოადგენდა უდე. 1882 წელს უდეში ერთკლასიანი სასწავლებელი დაარსდა, სადაც ასწავლიდნენ დედა ენას, ანგარიშს, რუსულ ენას, საღმრთო სჯულს. მეცადინეობა სეზონურად – ზამთრის პერიოდში მიმდინარეობდა. თავდაპირველად სკოლა მოთავსებული ყოფილა დაქირავებულ მიწურ ოდაში და მხოლოდ ვაჟებისათვის იყო განკუთვნილი. რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ქართული სკოლის გახსნა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და, ამასთანავე, დაკავშირებული იყო უამრავ სიძნელესთან. *„არც ერთი ქართული სკოლა, რაც არ უნდა პაწაწკინტელა იყვეს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ მას არ წავუმძღვარეთ წინ გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და არ მიიღო უკანასკნელის ნებართვა, რომელსაც იშვიათად ეღირსებით. არც ერთ სკოლაში სწავლა არ შეიძლება მოიმართოს თუ არა ადმინისტრაციისაგან დამტკიცებული პროგრამით. რუსული ენა სავალდებულო საგნად ითვლება და უსათუოდ პირველი წლიდანვე უნდა დაიწყონ მისი შესწავლა, თუ არა და სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა მოელის“,* – წერდა იაკობ გოგებაშვილი.

XIX საუკუნის დასასრულს, რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახალხო სკოლის გახსნას ქართულ კათოლიკურ სოფლებში. ამ სკოლის დაარსებამ ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას.

თავდაპირველად, სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავდა – **ვინმე სანდრო,** რომელიც 1882-1889 წლებში ხელმძღვანელობდა მას. **ივანე ბარიკალაშვილი** 1889 წელს დაინიშნა უდის დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებლად, სადაც 26 წლის განმავლობაში მუშაობდა. მან სოფელ უდეში მოღვაწეობის პერიოდში დააარსა საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის, ხელმძღვანელობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ 1897 წელს დაარსებულ სამკითხველო ბიბლიოთეკას, იქვე მოაწყო საფუტკრე, გააშენა ხეხილის ბაღი, რასაც იმ დროისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მოსწავლეთა შრომითი აღზრდისათვის, არამედ სოფლის მეურნეობით მშრომელთა დასაინტერესებლადაც. ასეთი სამაგალითო

უდეს კათოლიკური ეკლესია

საგანმანათლებლო კერა

მოღვაწეობისათვის და სასკოლო ნაკვეთზე მეურნეობის მოწყობისათვის იგი სიგელით და ფულადი ჯილდოთი (200 მანეთით) დაუჯილდოებიათ. მანვე შეკრიბა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. 26 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ზრუნავდა სკოლაზე და სოფელზე. ამიტომაც იყო, რომ სოფელ უდის მკვიდრი ივანე პავლეს ძე მერაბიშვილი წერდა: *„სოფელ უდეში 1882 წელს სასწავლებელი დაარსდა მთავრობის მიერ და ივანე იოსების ძე ბარიკალაშვილი ძალიან ცდილობდა ამ სოფლის როგორც წერა-კითხვით, ისე ზნეობით განათლებას, მოსპო თითქმის ყველა ძველი ჩვეულებანი, რაც შეეხება ცრუმორწმუნეობას, მის ნაცვლად გაავრცელა მათში მამულის და გვაროვნების სიყვარული“.* ივანე ბარიკალაშვილის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა ზაქარია ჭიჭინაძემაც: *„დღეს იგი მასწავლებლად არის თავის სოფელ უდეში, კარგი მასწავლებელია და მასთან მწიგნობარიც. მისი წერილები იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“, „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“.*

ივანე ბარიკალაშვილი

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ივანე ბარიკალაშვილმა იზრუნა და სკოლა ორკლასიანად იქნა გადაკეთებული. 1894 წლის მდგომარეობით, აქ 50 მოსწავლე სწავლობდა. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, სკოლამ მისი წყალობით დიდ წარმატებებს მიაღწია. 1901 წელს ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: *„დღეს მთელს ქვაბლიანში ოთხ სოფელში ლაპარაკობენ ქართულს – უდეში, არალში, ვალეში და ბოლაჯურში. ამავე სოფლებში არსებობს წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოს მიერ გახსნილი სკოლები, ხოლო უდეში გახსნილია საერთო სამკითხველო, რომლის ნაყოფიც ჩემის თვალით ვნახე აქაურს ხალხში. მდაბიო ხალხი ქართულ წერა-კითხვას კარგად შეეჩვია, გაზეთებსა და ჟურნალებს სიამოვნებით კითხულობენ“.*

1909 წელს სოფელ უდისა და ახალციხის საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა ივანე ბარიკალაშვილის მასწავლებლობის 25 წლისთავი.

1914 წელს ივანე ბარიკალაშვილი გადაყვანილ იქნა გამგე მასწავლებლად ჯერ ხერთვისში, შემდეგ ხიზაბავრის სკოლაში, საიდანაც 1918 წელს გადაიყვანეს კავთისხევში, იქვე გარდაიცვალა 1948 წელს.

მას შემდეგ, რაც ივანე ბარიკალაშვილი გადაყვანილი იქნა სოფელ უდიდან, სკოლის გამგე-მასწავლებელი ორი წლის განმავლობაში (1914-1916წწ) იყო პეტრე ვარძელოვი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სკოლას უძღვებოდნენ: ალექსანდრე ხითარიშვილი და ივანე მერაბიშვილი. 1921 წლიდან დღემდე, სკოლას 22 დირექტორი ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდში, სკოლამ სტრუქტურული ცვლილებაც განიცადა. კერძოდ, 1923 წელს დაწყებით სკოლად გადაკეთდა, 1924 წელს ეწოდა გლეხი ახალგაზრდობის სკოლა, 1929 წელს – შვიდწლიან სკოლად, 1937-1938 სასწავლო წელს კი – საშუალო სკოლად, რომლის პირველი გამოშვება 1940 წელს შედგა, იყო 27 კურსდამთავრებული. 1970 წლიდან, სკოლის ბაზაზე, გაიხსნა ახალი – № 2 სკოლა. მას კი ეწოდა №1 სკოლა. 2002 წელს უდის №1 სკოლას მიენიჭა სკოლის კურსდამთავრებულის და ტრაგიკულად დაღუპული იაკიმე ბალახაშვილის სახელი.

უდის სკოლამ რამდენჯერმე შეიცვალა ადგილმდებარეობა. თავდაპირველად, დაქირავებულ მიწურ სახლში იყო განთავსებული. საშუალო სკოლად გამოცხადების შემდეგ კი, განთავსდა სახელმწიფოს სახსრებით აშენებულ შენობაში. 1976 წელს სკოლის ძველ შენობას მიუშენდა კეთილმოწყობილი სამსართულიანი კორპუსი.

უდის სკოლა ერთ-ერთი წარმატებული სკოლაა. აქ მუშაობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები: მიხეილ კოპაძე, გიორგი მერაბიშვილი, პეტრე გიქოშვილი, სიმონ მერაბიშვილი, კონსტანტინე ყვავაძე, ნინო გიქოშვილი, ანტონ ობოლაშვილი, პავლე გზირიშვილი.

სკოლის ისტორიაში საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1978 წელს მესხეთში პირველი სკოლა იყო, სადაც მათემატიკის გაღრმავებული სწავლების კლასები გაიხსნა. 1982 წელს კი, აღინიშნა სკოლის დაარსების 100 წლისთავი.

უდის სკოლამ მრავალი ღირსეული ადამიანი აღზარდა. მათ შორის მოიაზრებიან ის ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა დროსა და სივრცეში მოუხდათ მოღვაწეობა, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოამჟღავნეს დიდი გონიერება და შრომისმოყვარეობა, რითაც საკუთარი თავიც წარმოაჩინეს და მშობლიური სკოლაც. ასეთ ადამიანთა რიცხვი ძალზედ დიდია. უნდა აღინიშნოს, რომ უდის სკოლის მრავალი კურსდამთავრებული ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, შესაბამისად აქვთ სამეცნიერო ხარისხი და არიან სერიოზული სამეცნიერო ნაშრომების ავტორები. ამრიგად, უდის სკოლის სახით ადიგენის რაიონში ფუნქციონირებს ერთ-ერთი უძველესი სკოლა ამ მხარეშიც და საქართველოშიც, მას ასოცდაათი წლის ისტორია აქვს.

XIX საუკუნის დასასრულს სოფელ უდეში სკოლის გარდა ერთ-ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელშეწყობით იქნა დაარსებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთში ბიბლიოთეკების დაფუძნების საკითხში ამ კუთხის მოსახლეობისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სურვილი თანმხვედრი აღმოჩნდა. ამ საზოგადოების საბიბლიოთეკო საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ ქ. ახალციხის ბიბლიოთეკის დაფუძნებით არ ამოწურულა. 1897 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იტყობინებოდა: *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ნება დართო მთავრობამ, რომ სოფელ უდეში გამართოს სახალხო სამკითხველო და წიგნთსაცავი. პასუხისმგებელი წიგნთსაცავის საქმეში იქაური მცხოვრები* ***ივანე მერაბიშვილი*** იქნება“.

ბიბლიოთეკის დასაარსებლად სოფლის მოსახლეობამ განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა. კერძოდ, 1897 წლის თებერვალში, ივანე მერაბიშვილისა და გიორგი ზაალიშვილის ინიციატივით, მოწვეულ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს თანამგრძნობ პირთა კრება, სადაც არჩეულ იქნა სამზრუნველო კომიტეტი, მღვდელ სიმონ ბალახოვის (ბალახაშვილის), გრიგოლ და პეტრე აღოშოვების (აღოშაშვილების) და ივანე მერაბიშვილის შემადგენლობით. სამზრუნველო კომიტეტმა ყველა ხარჯი თვითონ იკისრა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას უნდა გამოეწერა ქართული პერიოდული პრესა, წიგნები და რუსული გაზეთი „კავკაზი“. საზოგადოების მთავარი გამგეობა მოწონებით შეხვდა და მისი დახმარებით სოფელ უდეში ბიბლიოთეკა 1897 წლის 1 ივლისს დაფუძნდა. როგორც საგაზეთო სტატიებიდან ირკვევა ივანე მერაბიშვილი კარგად უძღვებოდა ბიბლიოთეკას: „დიდი პატივისცემის ღირსია ამ ბიბლიოთეკის გამგე მერაბიშვილი, რომელსაც უფასოდ აქვს დათმობილი ორი ოთახი“. თვითონვე უძღვებოდა ე.წ. კოლექტიურ კითხვას.

სოფელ უდეში ბიბლიოთეკის დაარსებას განსაკუთრებით მოწონებით შეხვდა ახალგაზრდობა. მთავარი გამგეობისადმი გაგზავნილ წერილში ისინი წერდნენ: *„სოფელ უდის ახალგაზრდობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ სიკეთეს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებამ მოგვანიჭა ჩვენ საწყალ ერს და გაგვიხსნა სამკითხველო-წიგნთსაცავი 1 ივლისს 1897 წელსა“.*

ბიბლიოთეკის პასუხისმგებლობა ძალზე დიდი იყო. იგი წარმოადგენდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. აქედან გამომდინარე, გამგეები მომსახურებას უწევდნენ როგორც წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობას, ასევე აწარმოებდნენ კოლექტიურ კითხვას და წერა-კითხვის სწავლებას. ბიბლიოთეკა- სამკითხველოს მიერ გაწეული მუშაობით შესაძლებელი გახდა მოსახლეობის კულტურული დაწინაურება და მათში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება-დაცვა. ამდენად, ბიბლიოთეკამ ერთდროულად შეასრულა როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური მისია.

სოფელ უდის ბიბლიოთეკა 1916 წლიდან დაექვემდებარა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილებას. 1919 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა, რადგან მთლიანად იქნა განადგურებული სერვერ ბეგის ბანდებისაგან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სოფელ უდეში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ქართული კულტურის მძლავრ კერებად ჩამოყალიბდნენ. ამ დაწესებულებებმა კარგად გაართვეს თავი ეპოქის მოთხოვნებს. რადგან მათ პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდათ.

ნატო ყრუაშვილი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერ მუშაკი

კონფერენცია

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია – „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ გაიხსნა. კონფერენცია უნივერსიტეტის 90 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში გაიმართა და მასში მონაწილეობა 13 ქვეყნის 60-მდე გამოჩენილმა უცხოელმა მეცნიერმა მიიღო.

კონფერენციის მუშაობაში, ასევე, მონაწილეობდნენ საქართველოს, ავსტრიის, აშშ-ს, აზერბაიჯანის, გერმანიის, ესტონეთის, თურქეთის, იტალიის, კანადის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, უკრაინის, რუსეთისა და ყაზახეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პროფესორ-მასწავლებლები.

კონფერენციის თემატიკა იყო: საინჟინრო მეცნიერებები და მაღალი ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები ეკოლოგიასა და საგანგებო სიტუაციებში, კვების და ფარმაციის სამრეწველო ტექნოლოგიები, საინჟინრო ტექნოლოგიები (ენერგეტიკა, ქიმია, მეტალურგია, სამთო-გეოლოგია, მშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი), გამოყენებითი მათემატიკა, ფიზიკა და ინფორმატიკა, ტელეკომუნიკაციები.

კონფერენცია „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გაიმართა.

გამოფენა

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ცნობილი ქართველი მსახიობის, უშანგი ჩხეიძის არქივის დამუშავებისას აქამდე უცნობი უნიკალური საარქივო დოკუმენტები აღმოჩნდა

ცნობილი ქართველი მსახიობის, უშანგი ჩხეიძის შესახებ არაერთი წიგნი გამოიცა და მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მიუხედავად ამისა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, უშანგი ჩხეიძის პირად არქივში, არაერთი საინტერესო მასალა ინახება, რომლის შესახებაც საზოგადოებამ ჯერჯერობით არაფერი იცის.

აქ დაცულია: სანდრო ახმეტელის, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჭიაურელის, იოსებ გრიშაშვილის, სესილია თაყაიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, თამარ ჭავჭავაძის, კოტე მარჯანიშვილის, შალვა მშველიძის, ელენე გოგოლევასა და სხვა მოღვაწეთა საქმიანი წერილები, რომლებიც დღესაც დიდ ინტერესს იწვევენ.

არქივში დაცულია უშანგი ჩხეიძის მიერ დაწყებული რამდენიმე პიესის ფრაგმენტი. მათ შორის არის ეპიზოდი მესხეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. იგი დაწერილია 1944 წელს და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორს უნდოდა შეხებოდა მესხთა დეპორტაციის პრობლემას.

ინტერესს იწვევს უშანგი ჩხეიძის მიერ დაწერილი პიესის – „გიორგი სააკაძის“ სცენური ისტორია. დავით ჩხეიძის წერილებში აღნიშნულია დადგმასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის როგორ ყურადღებას იჩენდა ლავრენტი ბერია პიესის იდეოლოგიურ მხარესთან დაკავშირებით. აგრეთვე, ვახტანგ ტაბლიაშვილის წერილებში ჩანს 50-იან წლებში დადგმული იმავე პიესის ინტერპრეტაცია.

აღნიშნული მასალა საინტერესოა არა მარტო ქართული თეატრის ისტორიის მკვლევართათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

უშანგი ჩხეიძის არქივი კიდევ უფრო კარგად გვაცნობს მის პიროვნებას, თუ რა საქმიანობით იყო იგი დაკავებული თეატრიდან წასვლის შემდეგ და სრულყოფილ სახეს აძლევს მის დიდ შემოქმედებას, რასაც ქართული საზოგადოება არ გაცნობია.

ინფორმაცია

***

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ხაშურის №1 და №6 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია დაიწყო. რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, ამ სკოლებში სტუმრობისას მიიღო. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ხატია დეკანოიძე გაეცნო.

ხაშურის №1 და №6 საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი ჩატარებულია, ამჯერად, სრული რეაბილიტაცია მოხდება და ამ სკოლების 1000-მდე მოსწავლე, უახლოეს მომავალში, სწავლას თანამედროვე, განახლებულ სკოლებში გააგრძელებს.

სკოლები თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებითა და ახალი კომპიუტერებით აღიჭურვება, გარემონტდება სპორტული და სააქტო დარბაზები. მოეწყობა სასწავლო ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები. მინისტრის განცხადებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ხელს არ შეუშლის.

***

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები ცნობილია. 2012-2013 სასწავლო წელს 24 501 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, რაც დარეგისტრირებული აბეტურიენტების რაოდენობის 71%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემები შარშანდელ მაჩვენებელს 5,3%-ით აღემატება. წელს 35 361 აბიტურიენტიდან გამოცდაზე მხოლოდ 34 431 გამოცხადდა, 2% გამოცდაზე არ გასულა. დაგვიანების გამო კი, გამოცდაზე 12 აბიტურიენტი არ დაუშვეს. პროცედურული დარღვევების გამო აბიტურიენტის გამოცდიდან მოხსნის ფაქტი არ მომხდარა. სააპელაციო განაცხადი 1 480-მა აბიტურიენტმა შემოიტანა, აქედან 333 აპლიკანტს ქულა შეეცვალა. 2012 წელს ჩარიცხული სტუდენტების სია გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე – www.naec.ge – განთავსდა.

2012 წლის გამოცდებმა მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. 28 ივნისს, საქართველოს მასშტაბით, 12 ქალაქში 17 საგამოცდო ცენტრი გაიხსნა. საგამოცდო

ოთახები 850-მდე ვიდეოთვალითა და 9000-ზე მეტი ახალი მერხით იყო აღჭურვილი. საგამოცდო პროცესს 1260 დამკვირვებელი ადევნებდა თვალყურს. ასეთი ფორმატით ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს უკანასკნელად ჩატარდა. მომავალი წლიდან ახალი საგამოცდო მოდელი – 8+1 ამოქმედდება.

2012 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სიახლეები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა:

♦ გამოცდებზე რეგისტრაცია აპლიკანტებმა მხოლოდ ინტერნეტით, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge) გაიარეს;

♦ მეორადი ჩარიცხვები გაუქმდა და, შვიდის ნაცვლად, აბიტურიენტებს თავიდანვე ოცი სასურველი ფაკულტეტის არჩევის საშუალება ჰქონდათ;

♦ წელს მეოთხე არჩევით საგნად უმაღლესმა სასწავლებლებმა მხოლოდ მაპროფილებელი სავალდებულო საგნები დააწესეს.

აბიტურიენტებს, რომლებმაც ზოგადი უნარების გამოცდაში მინიმალური კონპეტენციის ზღვარი გადალახეს, მაგრამ სხვა გამოცდაში ჩაიჭრნენ და ვერ გახდნენ სტუდენტები, საშუალება აქვთ პროფესიული პროგრამის მე-4 და მე-5 საფეხურზე ჩაირიცხონ. პროგრამების ჩამონათვალი განთავსებულია ვებგვერდზე – www.naec.ge.

***

მიხეილ სააკაშვილმა ანაკლიაში შეკრებილ პროქტის Summer Job-ის მონაწილეებს სიტყვით მიმართა, ყურადღება განათლების ახალ პროგრამებზე გაამახვილა და სამომავლო პერსპექტივებსაც შეეხო.

პროგრამამ ფოტოკონკურსის „ჩემი პირველი Summer Job“-ის გამარჯვებულიც გამოავლინა – ელენე ვარაზი 2 კვირით ლონდონში სასწავლებლად გაემგზავრება. სამინისტროს facebook-ის გვერდზე გამოცხადებულ კონკურსში ყველაზე მეტი, 16 191 like, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის ელენე ვარაზის ფოტომ დაიმსახურა. გამარჯვებული პროგრამის ფარგლებში, შ.პ.ს. „ოფთალმიჯში“, ჯავრიშვილის კლინიკაში ექთნის თანაშემწედ მუშაობდა.კონკურსი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა 100-ზე მეტმა ფოტომ მიიღო. კონკურსანტებმა საკუთარი საქმიანობის ამსახველი სურათები წარმოადგინეს.

პროგრამა Summer Job საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, 2012 წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე ხორციელდებოდა და მასში საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების სტუდენტები მონაწილეობდნენ. პროექტის ფარგლებში, ოცდაოთხი ათასამდე სტუდენტი დასაქმდა და თითოეული მათგანის ხელფასი 500 ლარია. სტუდენტები შეთავაზებული 70-მდე სამუშაო სახეობებიდან სასურველ ერთ ვაკანსიას ირჩევდნენ. დასაქმებული სტუდენტები სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდნენ: სანაპირო ზოლის გამწვანება-დასუფთავება, ბიბლიოთეკების დალაგება, გამცილებელი საქართველოს რკინიგზაზე, თანაშემწეებად – სამედიცინო დაწესებულებებში, მუზეუმებში, იურიდიულ კომპანიებში, სამშენებლო სამუშაოებზე, ადგილობრივ თვითმმართველობებში, მიმტანებად და ადმინისტრატორებად სასტუმროებსა და კაფე-ბარებში და სხვ. პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებასა და გამოცდილების მიღებას იმ სფეროში, რომელშიც მათ მომავალში დასაქმება სურთ. გარდა ამისა, გამომუშავებული თანხა მათ საშუალებას აძლევს საკუთარი სწავლა დააფინანსონ ან გამოიყენონ შემეცნებისთვის, მოგზაურობისთვის, დასვენებისა და ა.შ.

ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის წამყვან ქვეყნებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში სულ 17 სახელმწიფო და 106 კერძო კომპანია მონაწილეობდა.

***

საზაფხულო დასაქმების პროგრამაზე მუშაობის პროცესი 20 აგვისტოს დასრულდა. პროგრამა წარმატებით განხორციელდა და მასში გათვალისწინებული სამუშაოები 23 000-მდე სტუდენტმა გაიარა. პროგრამის თითოეული მონაწილე, როგორც სტუდენტები, ასევე დამსაქმებლები კმაყოფილები არიან და დიდ სურვილს გამოთქვამენ, რომ ის მომავალშიც გაგრძელდეს. დამსაქმებლები აცხადებენ, რომ სამომავლოდ უფრო მეტ სამუშაო ადგილს გამოყოფენ სტუდენტებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს, გავზარდოთ დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა.

27 აგვისტოს Summer Job-ში დასაქმებული სტუდენტებისთვის ხელფასები სრულად გაიცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დამსაქმებელ ორგანიზაციასა და სტუდენტს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **დამსაქმებელი შრომის ანაზღაურებას ახორციელებს პროგრამის მონაწილის მიერ წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების შესახებ ანგარიშების საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მადლობას უხდის პროგრამაში მონაწილე ყველა სტუდენტსა და დამსაქმებელ ორგანიზაციას.

***

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა თარგმნის პირველი საერთაშორისო სკოლის მსმენელებს სერტიფიკატები გადასცა.

50-მა ქართველმა და უცხოელმა მსმენელმა თარგმნის საზაფხულო სკოლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე გაიარა. დამწყები მთარგმნელები მხატვრული და სამეცნიერო თარგმანის საერთაშორისო სტანდარტების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს გაეცნენ. პროგრამის ფარგლებში, ლექციები ჩატარდა გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე, აგრეთვე,შუალედური ენებიდან (რუსული, ინგლისური) ქართული ტექსტების თარგმნისთვის გამიზნული, ვორქშოფები და სემინარები.

მსმენელებმა ერლომ ახვლედიანის, დავით ტურაშვილის, ნესტან (ნენე) კვინიკაძის, ზაზა ბურჭულაძის, ზვიად რატიანის, დათო ბარბაქაძის მხატვრული და ქართველ მკვლევართა სამეცნიერო ლიტერატურათმცოდნეობითი ტექსტები თარგმნეს.

ორი კვირის განმავლობაში სკოლის მსმენელებთან ცნობილი უცხოელი და ქართველი მთარგმნელები მუშაობდნენ.

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, მიმდინარე წელს, ოთხი საზაფხულო სკოლა დააფინანსა. ამგვარი სკოლების მიზანია ქართველოლოგიის სამეცნიერო მიმართულებაში უცხოელი მკვლევრების მოზიდვა და, ზოგადად, ქართველოლოგიის მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში პოპულარიზაცია. ამასთან, პროექტი ხელს უწყობს უცხოელ და ქართველ კოლეგებს შორის სასწავლო და შემოქმედებითი ურთიერთობისა და საქმიანი კონტაქტების დამყარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

საზაფხულო სკოლა „ქართული დამწერლობა“

მიმდინარე წლის 17 ივლისიდან, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საზაფხულო სკოლა „ქართული დამწერლობა“ გაიხსნა.

პროექტი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და კომპანია „ჯეოსელის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მიზანი გახლდათ: ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის – ქართული დამწერლობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართული ხელნაწერი ტრადიციის, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების პროდუქტის, მრავალმხრივობის აქცენტირება, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა სამომავლო თანამშრომლობისათვის საფუძვლის მომზადება, თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა.

საზაფხულო სკოლა განკუთვნილია ქართული კულტურით, განსაკუთრებით, ქართული დამწერლობითა და ხელნაწერი მემკვიდრეობით დაინტერესებული უცხოელებისთვის.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა 22 უცხოელი შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სერბია, პოლონეთი, თურქეთი, ირანი და სომხეთი.

საზაფხულო სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავდა აკადემიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. აკადემიური პროგრამა ითვალისწინებდა: სალექციო კურსებს, პრაქტიკულ სამუშაოებსა და დავალებებს, „ვორქშოფებს“. აკადემიურ სასწავლო კურსს წარუძღვნენ ქართველოლოგიის სფეროს ქართველი მეცნიერები. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა თემასთან დაკავშირებულ გამოფენას და ექსკურსიებს.

პროგრამის ფარგლებში, მრგვალი მაგიდის ფორმატში, გაიმართა 3 დისკუსია, ასევე სკოლის მონაწილეებმა წარადგინეს სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრები, პრეზენტაციის სახით. სკოლის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა მსმენელების შეფასების ორკომპონენტიან სისტემას და მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას. სკოლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ლექციები, ძირითადად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა, ასევე, თემატიკიდან გამომდინარე, ექსკურსიების ფარგლებში, სხვადასხვა სამუზეუმო და საბიბლიოთეკო სივრცეში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი სულხან სისაური, სომხეთის ელჩის მოადგილე ვაჰაგან ასიანი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების წევრები და სხვ.

10 დღის განმავლობაში სტუდენტებს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ლექციო და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდათ. მათ დაათვალიერეს საქართველოს კუთხეები და ქართულ კულტურასაც გაეცნენ.

26 ივლისს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული დამწერლობა“ ოფიციალურად დაიხურა.

COMMITTING TO CHILD SURVIVAL
A PROMISE RENEWED

unicef
unite for children

საქართველო უერთდება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, რომლებიც პირობას დებენ, აღმოფხვრან ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელია

13 სექტემბერი, 2012 წელი, თბილისი. საქართველომ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად პასუხისმგებლობა აიღო აღმოფხვრას ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელია. ამით შეუერთდა გლობალურ კამპანიას ბავშვთა გადასარჩენად – *„ვალდებულება ბავშვთა გადასარჩენად: განახლებული დაპირება“*. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ხელი მოაწერა აღნიშნულ დაპირებას და განახლებულ ვალდებულებას, რომელიც ითვალისწინებს, საქართველოში ყველა ბავშვს სიცოცხლის საუკეთესო დასაწყისი ჰქონდეს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეიმჩნევა სწრაფი პროგრესი ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების კუთხით, რაც ადასტურებს, რომ შესაძლებელია ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირება ორი ათწლეულის განმავლობაში. გაეროს ბავშვთა ფონდის 2012 წლის ანგარიში – „ვალდებულება ბავშვთა გადასარჩენად: განახლებული დაპირება“ მიმოიხილავს ტენდენციებს ბავშვთა სიკვდილიანობის სფეროში 1990 წლიდან და აჩვენებს, რომ ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა ყველა რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებში. იუნისეფისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემსწავლელი გაეროს საგენტოთაშორისი ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ადასტურებს, რომ 2011 წელს ხუთი წლის ასაკამდე გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში შემცირდა, 1990 წელს არსებული 12 მილიონიდან, 6.9 მილიონამდე. აღნიშნული ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების გზაზე არც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და არც მისი ეკონომიკური მდგომარეობა არ უნდა იყოს დაბრკოლება.

საქართველო იმ ქვეყანათა შორისაა, სადაც ბავშვთა სიკვდილიანობის კლების ტენდენციაა: 1999 წლის შემდეგ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა ორი მესამედით – 2010 წელს 1000 ცოცხლად შობილიდან 45 ლეტალური შემთხვევა 16-მდე დაეცა. 2012 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის სტატისტიკა: 1999 წელს 1000 ცოცხლად შობილზე 41.6 შემთხვევიდან – 21.1 შემთხვევამდე 2005 წელს და 14.1 შემთხვევამდე 2010 წელს.

„საქართველოს მთავრობამ უდიდესი ნაბიჯები გადადგა ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად, რაც ნამდვილად სასიხარულო ფაქტია, – აღნიშნა **საშა გრაუმანმა,** გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, – *მივესალმებით საქართველოს განახლებულ ვალდებულებას აღმოფხვრას ბავშვთა სიკვდილიანობის თავიდან აცილებადი შემთხვევები. ნეონატალურ პერიოდში სიკვდილიანობის უფრო მეტად შემცირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იქცეს“.*

ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევათა 58% დაბადებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში ხდება. სიკვდილიანობის სამი ძირითადი მიზეზია: დღენაკლულობა, ასფიქსია და ინფექციები/პნევმონია. აღნიშნული მიზეზები მჭიდრო კავშირშია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ფეხმძიმობის პერიოდში, მშობიარობის გარემოებებთან და მშობიარობის შემდეგ პირველ რამდენიმე კრიტიკულ საათთან.

ზემოთ ხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საბჭო თანამშრომლობენ ისრაელის სამედიცინო ცენტრ „შებასთან“, რათა გაძლიერდეს დედასა და ბავშვზე ზრუნვის სისტემა, საქართველოს პერინატალური სისტემის გაძლიერების გენერალური გეგმის ფარგლებში. გენერალური გეგმა ეფუძნება 2011-2015 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგიას. დოკუმენტი, რომლის მიზანია პერინატალური სისტემის გაძლიერება საქართველოში მომდევნო 10-15 წლისათვის, პირდაპირ პასუხობს სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას (დედათა და ბავშვთა ხარისხიანი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა) და უზრუნველყოფს ცხოვრების საუკეთესო დასაწყისს ყველა ბავშვისათვის.

საერთო სიღარიბემ იკლო, მაგრამ ბავშვთა სიღარიბის შემცირება კვლავაც აქტუალურია

ამ თემატიკას მიეძღვნა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში სადისკუსიო დოკუმენტის – ბავშვთა სიღარიბის შემცირება საქართველოში – პრეზენტაცია. კვლევა ჩატარდა წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, გაერთიანებული სამეფოს იორკის უნივერსიტეტთან და საქართველოს სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

არსებული სოციალური დაცვის სქემები სრულად ვერ აკმაყოფილებს ბავშვიანი ღარიბი ოჯახების საჭიროებებს – აღნიშნულია იუნისეფის სადისკუსიო დოკუმენტში.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, **რულანდ მონაში** და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ზურაბ ჭიაბერაშვილი**.

სადისკუსიო დოკუმენტის მიხედვით, ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობა, 2009 წლის 24 პროცენტიდან, 2011 წლისთვის 22 პროცენტამდე დაეცა. ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობამ 28-დან 25 პროცენტამდე იკლო. ამავე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა უკიდურესი სიღარიბეც. პენსიები, ჯანმრთელობის დაზღვევა და მიზნობრივი სოციალური დახმარება მნიშვნელოვანი საშუალებებია სიღარიბის შესამცირებლად. თუმცა, მიუხედავად გაუმჯობესებული მდგომარეობისა, განსაკუთრებით პენსიონერთა შორის, მაინც ბევრი ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების რეფორმებმა საქართველოში სწრაფი ეკონომიკური ზრდა გამოიწვია, ამ ზრდის სარგებელი მაინდამაინც თანაბრად არ ნაწილდება და არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები სათანადოდ ვერ მოიცავს ბავშვებს. საჭიროა დამატებითი ინვესტიციები საქართველოში ყველაზე დაუცველი ბავშვების დასახმარებლად.

საერთაშორისო კვლევების თანახმად, სიღარიბეში დაბადებული ბავშვი მეტი ალბათობით იქნება ღარიბი მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც ხელს უშლის ბავშვის სათანადო განვითარებას და მომავალში უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ანგარიშში განხილულია კონკრეტული რეკომენდაციები სოციალური პოლიტიკისათვის (მიზნობრივი სოციალური დახმარების ზრდა და ბენეფიციართა ქსელის გაფართოება, ბავშვთა საყოველთაო შეღავათის შემოღება), რომლებიც მიმართულია ბავშვთა სიღარიბის შემცირებისაკენ.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს მასშტაბით, 2082 საჯარო სკოლაში 2012-2013 სასწავლო წელი დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალ სასწავლო წელს არაერთი სიახლით შეხვდა. საქართველოს მასშტაბით, 11 ახალი სკოლა აშენდა და 527 სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გაიხსნა 83 „მომავლის კლასი“.

2012-2013 სასწავლო წლისათვის ახალი სკოლები აშენდა გურიის რეგიონის სოფლებში – ჩიბათსა და ქვაბღაში, სამეგრელოს რეგიონის სოფელ სალხინოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში – ნიჯგორსა და მირაშხანში, ახალი სასწავლო კორპუსი აშენდა ახალციხის №5 საჯარო სკოლისთვის, ახალ შენობაში აგრძელებენ სწავლას ახალქალაქის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების სკოლების მშენებლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სამინისტროს მიზანია, ყველა მოსწავლემ, სადაც არ უნდა სწავლობდეს, სრულფასოვანი განათლება თანამედროვე და კეთილმოწყობილ გარემოში მიიღოს.

ყოველწლიურად, საქართველოს მასშტაბით, ათობით სკოლა შენდება თანამედროვე დიზაინითა და ინფრასტრუქტურით; თითქმის ყველა სკოლა რეაბილიტირებულია; სკოლები უზრუნველყოფილია გათბობისა და განათების სისტემით. ახალი სკოლები თანამედროვედაა აღჭურვილი, ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკები, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორი ახალი სკოლა გახსნა კახეთის რეგიონის სოფლებში – ერისიმედსა და შიბლიანში.

სოფელ ერისიმედის 100-მდე მოზარდი, 25 წლის განმავლობაში, არასტანდარტულ, ბაგა-ბაღისთვის განკუთვნილ ავარიულ შენობაში სწავლობდა. სოფლის მოსახლეობის ეს დიდი პრობლემა ახალი სკოლის მშენებლობით გადაიჭრა. ევროპული სტანდარტების სკოლას თანამედროვე გათბობის სისტემა და საკუთარი ჭაბურღილი აქვს. სკოლაში ასევე დამონტაჟებულია საკუთარი დენის წყარო, რაც ამ სკოლის მოსწავლეებისთვის უწყვეტი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გარანტია. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებითა და ახალი კომპიუტერებით, აქვს ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი.

საგარეჯოს რაიონის სოფელ შიბლიანში სკოლის ძველი, ავარიული შენობა 5 წლის წინ გამოვიდა ექსპლუატაციიდან და ამ ხნის განმავლობაში სოფლის 50-მდე მოსწავლე ყოფილი გამგეობის ძველ, არაკომფორტულ შენობაში სწავლობდა. ამიერიდან, ამ სოფლის მოსწავლეები ახალ, თანამედროვედ აღჭურვილ სკოლაში ისწავლიან. 130 მოსწავლეზე გათვლილ სკოლას აქვს თანამედროვე გათბობა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სააქტო დარბაზი.

* * *

იმერეთის რეგიონში ახალი სკოლის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი – ვანის რაიონის სოფელ ზემოვანში 2013 წელს თანამედროვე სკოლა ამოქმედდება. მინისტრის მოადგილის გიორგი ჩახნაშვილის განცხადებით, სამინისტრო ვალდებულების შესრულებას იწყებს, რომელიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 150 საჯარო სკოლის მშენებლობას ითვალისწინებს.

20 წელია, სოფელ ზემოვანის მოზარდები არაკომფორტულ, სწავლისათვის შეუფერებელ გარემოში, ყოფილი საკრებულოს შენობაში სწავლობენ. სოფლის მოსახლეობის ეს დიდი პრობლემა ახალი სკოლის მშენებლობით გადაიჭრება და მომავალი სასწავლო წლიდან ზემოვანის საჯარო სკოლის 150 მოსწავლე თანამედროვე სკოლაში გააგრძელებს სწავლას.

ორსართულიანი ევროპული სტანდარტების სკოლა 200 მოსწავლეზე იქნება გათვლილი, აღიჭურვება თანამედროვე სასკოლო ინვენტარითა და ახალი კომპიუტერებით, სკოლას ექნება დახურული და ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნები, სასკოლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი.

* * *

2012-2013 სასწავლო წლისათვის საქართველოს სკოლებისთვის შექმნილი ნეტბუკები 41 272 პირველკლასელს და მათ 3078 დამრიგებელს საჩუქრად გადაეცათ. თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებისთვის კომპიუტერების გადაცემის პროცესი დასრულდა. კომპიუტერების დისტრიბუციას საქართველოს ფოსტა უზრუნველყოფს. „ბუკები“ კომპანიების – „ალგორითმი“ და „ინტელის“ მიერ საქართველოში დამზადდა.

კომპანია „ალგორითმიდან“ ნეტბუკები თბილისის საჯარო სკოლებისთვის გაიგზავნა. 17 სექტემბერს ყველა პირველკლასელს ბუკი სკოლაში დახვდა. პროექტი მეორე წელია მიმდინარეობს, კომპიუტერიზაციის სამყაროში მოზარდების სწორი განვითარებისა და მომავალში საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ბავშვს თავიდანვე ჰქონდეს ურთიერთობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, შეიქმნა ნეტბუკი „ბუკი“. ნეტბუკებში ჩატვირთულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო პროგრამები, ბავშვებისთვის შექმნილი შემეცნებითი თამაშები და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

სასწავლო პროცესში ნეტბუკების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ პირველი კლასების ყველა დამრიგებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში გადაამზადა. მასწავლებლები ნეტბუკების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას გაეცნენ, ასევე ისწავლეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ისტ) გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტების მომზადება.

საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლა ინტერნეტიზებულია, აქედან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან ნეტბუკები, სახელმძღვანელოებთან ერთად, პირველკლასელთათვის ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი უნიკალური საშუალებაა.

* * *

წელს პირველად, სასკოლო სახელმძღვანელოები, საქართველოს მასშტაბით, 400 სკოლაში გაიყიდება. სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას მომიჯნავე სკოლების მოსწავლეებიც შეძლებენ. სახელმძღვანელოები, ასევე, გაიყიდება სავაჭრო წერტილებში. ამ ობიექტებზე სახელმძღვანელოს მაქსიმალური ფასი 10 ლარი იქნება. **წიგნების შეძენის შესაძლებლობა მოსწავლეებს 10 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით მიეცემათ.** სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.mes.gov.ge – განთავსებულია სკოლებისა და სავაჭრო ცენტრების ჩამონათვალი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფოსტას შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, მოსწავლეებს წელსაც შეეძლებათ სახლიდან გაუსვლელად, საქართველოს ფოსტის ვებგვერდის მეშვეობით, ელექტრონულად გამოიწერონ სასკოლო სახელმძღვანელოები. ამ სერვისით სარგებლობა, საქართველოს მასშტაბით, ყველა მსურველს შეუძლია. გამოწერილ სახელმძღვანელოებს თბილისში მოსახლეობა გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში მიიღებს, ხოლო რეგიონებში – 48 სათის განმავლობაში. მოქმედებს საქართველოს ფოსტის ცხელი ხაზიც – 2 24 09 09. დეტალური ინფორმაციის მოძიება, ასევე, შესაძლებელია ვებგვერდზე – www.gpost.ge.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოციალური პროგრამის ფარგლებში, აგრძელებს მოსწავლეებისათვის უფასო სახელმძღვანელოების გადაცემას. 2012-2013 სასწავლო წელს 1 069 530 სასკოლო სახელმძღვანელო, პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით, 128 919 მოსწავლეს სახელმწიფოსაგან უფასოდ გადაეცემა. სასკოლო სახელმძღვანელოს უფასოდ მიიღებენ:

- ♦ სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები (70001-ზე ნაკლები ქულით);
- ♦ იმ ოჯახების მოსწავლეები, სადაც ერთდროულად სამი ან მეტი და-ძმა სწავლობს სკოლაში;
- ♦ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

სულ ამ სამი კატეგორიის მოსწავლეებზე ერთ მილიონამდე წიგნი გაიცემა და მათ ეს სახელმძღვანელოები 17 სექტემბერს სკოლაში დახვდებათ.

* * *

როტარი კლუბი – Tbilisi International (www.rotary.ge) – 2009 წელს შეიქმნა და მსოფლიოს როტარიანული კლუბების სისტემის, რომელიც დღეისათვის 34 000-ზე მეტ კლუბს ითვლის, სრულუფლებიანი წევრია. მოძრაობის პრინციპია ნებაყოფლობითი მონაწილეობა დახმარების აქციებში, მსოფლიო მასშტაბით. აქცენტები კეთდება განათლების, ჯანდაცვის, სოციალურად დაუცველი პირების, სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანების, ობოლი და უსახლკარო ბავშვების დახმარებაზე.

თბილისის შედარებით ახალგაზრდა კლუბმა, საქველმოქმედო პროექტი გლდანის 209-ე საჯარო სკოლაში 2011 წელს ჩამოსული ინგლისელი მასწავლებლის, ფრანკ ჰოკენბროქტის ინიციატივით დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, დაფინანსების მოსალოდნელი ოდენობისა და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გადაწყდა სკოლისთვის 130-140 ახალი ტიპის მერხის შეძენა. პროექტი განხორციელდა მეჩინგ

გრანტის პრინციპით. პენსილვანიის კლუბმა თბილისის როტარი კლუბის მიერ შეგროვებულ თანხას 10 000 დოლარი დაამატა. თბილისის როტარი კლუბი, სკოლების დასახმარებლად მომავალში კიდევ მრავალი პროექტის განხორციელებას გეგმავს.



* * *

სასტუმროში „რედისონ ბლუ-ივერია“ სკოლამდელი განათლების საგრანტო პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. მეოთხე წელია პროექტებს ახორციელებს სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის, პროექტების ფარგლებში უკვე შექმნილია შემდეგი რესურსები:

- ♦ ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები;
- ♦ საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო;
- ♦ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო-პრინციპები და პრაქტიკა;
- ♦ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა;
- ♦ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი;
- ♦ სკოლამდელი განათლების პროგრამა.

2011-2012 წლებში, სკოლამდელი განათლების სფეროში მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში მშობელთა ცენტრები შეიქმნა. გამოიცა მშობლისა და აღმზრდელის წიგნი – „თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის“, რომელიც საქართველოს ყველა სახელმწიფო ბაღს უსასყიდლოდ გადაეცემა.

საქართველოს 13 მუნიციპალიტეტში 562-მა აღმზრდელმა აიმაღლა კვალიფიკაცია, მათ ტრენინგი პროექტის ფარგლებში გადამზადებულმა 6 უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებმა ჩაუტარეს.

საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების სკოლამდელი განათლების 8 ცენტრი შეიქმნა, სადაც პილოტირება ეთნიკური უმცირესობებისთვის შექმნილმა სპეციალურმა საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა. პროგრამა, სკოლამდელი განათლების საფეხურზე, ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. პილოტირებაში 147-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

2012 წლის ივნისში სკოლამდელი განათლების კვირეული ჩატარდა, სკოლამდელი განათლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო ტიპის ბუკლეტები შეიქმნა, დამზადდა სატელევიზიო სოციალური სარეკლამო რგოლი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიმართულებით.

* * *

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე დასასწრებად 52-მა ქართველმა მეცნიერმა სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება მოიპოვა. ქართველი მკვლევრები მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში სექტემბერსა და ოქტომბერში გაემგზავრებიან. ყველა მათგანს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსებს.

საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ქართველი მკვლევრები საქართველოში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით მიმდინარე კვლევების შედეგებზე ისაუბრებენ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის განცხადებით, საგრანტო კონკურსის მიზანია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ქართველ მკვლევართა ინტეგრაცია. სულხან სისაურის თქმით, ჩვენს მეცნიერებსა და მათ უცხოელ კოლეგებს შორის ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, მოკლევადიანი სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით, ჯამში 132 მეცნიერი დაფინანსდა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის ინიცირებული „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის“ პროგრამა გრძელდება. პროექტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლებს გადასცემს. 2012 წელს, საქართველოს მასშტაბით, 780 ოქროსა და 1041 ვერცხლის მედალი გაიცემა. მედალოსანთა ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისში, იმერეთსა და აჭარაშია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ თბილისის სკოლების 300-მდე კურსდამთავრებულს პირადად გადასცა ოქროს მედლები და მომავალი წარმატებები უსურვა.

ოქროს მედლები იმერეთის რეგიონის წარჩინებულ მოსწავლეებსაც გადაეცათ. იმერეთის რეგიონს, 2011-2012 სასწავლო წელს, 114 ოქროსა და 60 ვერცხლის მედალოსანი ჰყავს. ოქროს მედლები მიიღეს, ასევე: აჭარის რეგიონის წარჩინებულებმა, აჭარას 111 ოქროსა და 102 ვერცხლის მედალოსანი ჰყავს; ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის წარმატებულმა მოსწავლეებმა; 2011-2012 წლისათვის ქვემო ქართლის რეგიონს 41 ოქროსა და 52 ვერცხლის მედალოსანი ჰყავს, კახეთს – 75 ოქროს და 190 ვერცხლის მედალოსანი.

სასწავლო პროცესში, გარდა სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ნახალისება და წარჩინებული მოსწავლეების წარმოჩენაა. ამ მიზანს ემსახურება პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი.

მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები „ეროვნული სასწავლო გეგმით“ რეგულირდება. 2011-2012 სასწავლო წლის წარჩინებით სკოლადამთავრებულებისათვის სახელობითი ოქროსა და ვერცხლის მედლები დამზადდა. სახელისა და გვარის გარდა მათზე მითითებულია შესაბამისი წელი.

* * *

2012 წლის სასერტიფიკაციო გამოცდები დასრულებულია. წელს სერტიფიკატი 8000-მდე პედაგოგს გადაეცემა, რაც შარშანდელ მაჩვენებლებზე ორნახევარჯერ მეტია. მასწავლებლებს აპელაციის შედეგების ნახვა, საკუთარი 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდით, გამოცდების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე შეეძლებათ – www.naec.ge; www.tpdc.ge.

მიმდინარე წლიდან, სერტიფიცირების მსურველები გამოცდის ჩაბარებას წელიწადში რამდენჯერმე შეძლებენ. ოქტომბრის ბოლოს პედაგოგების ხელახალი რეგისტრაცია გამოცხადდება, უახლოესი სასერტიფიკაციო გამოცდა კი 2013 წლის იანვრის სასკოლო არდადეგების დროს ჩატარდება. მასწავლებლები გამოცდებს საჯარო სკოლებსა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩააბარებენ.

სასერტიფიკაციო გამოცდები მესამე წელია ტარდება და სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. სერტიფიცირების შედეგად პედაგოგის ხელფასი 75 ლარით იზრდება. კომპიუტერისა და ინგლისურის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მათ კიდევ 200 ლარი ემატებათ, საუკეთესო 25%-ში მოხვედრილი მასწავლებლის ხელფასი 1000 ლარია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სპორტი

მოჭიდავეთა ახალგაზრდული მედლები

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე



რამაზ ზოიძე

ლონდონის ოლიმპიადაზე ძიუდოისტ **ლაშა შავდათუაშვილის** ტრიუმფალური გამარჯვება ნიშანსვეტად უნდა იქცეს ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენებისთვის. 20 წლის გორელი ბიჭი ეროვნულ ნაკრებში ვარჯიშს ინტენსიურად იანვრიდან შეუდგა, ზუსტად 8 თვეში კი „კარალეთის დღეები“ გვიძღვნა... მას თავიდან ლიცენზიებისთვის მებრძოლადაც არ განიხილავდნენ, აქცენტს სხვებზე აკეთებდნენ, ლაშაზე კი ყურადღება მას მერე გადაიტანეს, რაც იმ დანარჩენებს საგზურის მოპოვების ყველა შანსი გადაეწურათ. ახლა უკან დარჩა მუხლჩაუხრელი შრომა კარალეთის მყუდრო ეზოში, სადაც მამა-შვილის მიერ საკუთარი ხელით მოწყობილ პრიმიტიულ სავარჯიშო იარაღებზე იმაღლებდა ოსტატობას. ოლიმპიური მწვერვალიდან ის ტანჯვა ტკბილ მოგონებად მოჩანს.

იმედია, შავდათუაშვილის კვალზე მომავალი თაობის ის წარმომადგენლებიც გაივლიან, რომლებმაც უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მსოფლიოს ასაკობრივ პირველობებზე იასპარეზეს. ეს ძირითადად თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავეებს ეხებათ, რომლებმაც ჭაბუკებშიც და ახალგაზრდებშიც მსოფლიოს პირველობებზე იჭიდავეს.

ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატს ბაქომ უმასპინძლა. მეზობელ ქვეყანაში რაოდენობრივად უფრო მეტი მედალი „ბერძენ-რომაელებმა“ მოხვეტეს – 6, თუმცა, ოქროს ვერ შესწვდნენ, აი, „თავისუფლებმა“ მხოლოდ ერთი მოიპოვეს და ისიც – ოქროსი! მსოფლიო ჩემპიონი ქუთაისელი **ომარ გურჯიძე** (69) გახდა, რომელმაც ბაქოში მშვენივრად წარმოაჩინა თავი – ბევრად აღემატებოდა თანატოლებს, ხოლო ფინალში უკრაინელი ევროპის ჩემპიონი **სერგეი დრამარეცკი** გაანადგურა. ის ევროპის წლევანდელ პირველობაზე მესამეზე გავიდა, შარშან კი ფინალში იჭიდავა.

ბაქოში ოქროს მოპოვების შანსი ხუთჯერ მიეცათ ჩვენს „ბერძენ-რომაელებს“, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ წააგო: **გენადი ჩიტაძემ** (42), **რამაზ ზოიძემ** (46), **ბაკურ გოგოლმა** (54), **გელა ბოლქვაძემ** (63) და **ბექა კანდელაკმა** (100). ბრინჯაოს მედალი **ნიკა გავაშელმა** (76) დაიმსახურა.

ამ ხუთიდან სამი ფინალი აზერბაიჯანელებთან წავაგეთ, თუმცა ზოიძის გარდა, სხვა შემთხვევაში მსაჯებს ვერ დავემდურებით, აი, ზოიძის წაგება, კი მთლიანად მათ სინდისზეა.

ბათუმელი რამაზ ზოიძე უნიკალური მოვლენაა – ორივე სტილში ჭიდაობს. მეტიც – თავიდან ვარჯიში „თავისუფალში“ დაიწყო, თუმცა მერე ბერძნულ-რომაულმა გადასძალა. მან უკვე შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა – შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი მესამეზე გავიდა. წლევანდელი სეზონიც ძლევამოსილად დაიწყო – ევროპის პირველობა მოიგო და ზედიზედ მეორედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. ამ რანგის ტურნირის ზედიზედ მეორე ოქროსთან და სეზონის დუბლთან ძალიან ახლოსაც იყო, მაგრამ მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს მისი მეტოქის, აზერბაიჯანელი **მიხაილ რახმანოვის** გასამარჯვებლად. ზოიძემ ის ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში დაამარცხა და ცხადია, რევანში სწყუროდა, რასაც ზედ საკუთარი ქომაგის წინაშე ჭიდაობაც დაემატა. კვარცხლბეკზე ასვლისას ზოიძემ ცრემლები ვერ შეიკავა უეჭველია, მისი სახით დიდი პერსპექტივის მქონე ფალავანი გვეზრდება.

წლევანდელი სეზონი გავაშელისთვისაც წარმატებულია – ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა.

ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა წინა უქმეებზე დამთავრდა ტაილანდურ პატაიაში. იქ „თავისუფლებმა“ 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს, „ბერძენ-რომაელებმა“ – 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. „თავისუფლებში“ პლანეტის ვიცე-ჩემპიონები **ლაშა ტალახაძე** (55) და **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66) გახდნენ, **ჯუმბერ ყველაშვილი** (74) და **გენო პეტრიაშვილი** (120) კი მესამეზე გავიდნენ. „ბერძენ-რომაელთაგან“ ვერცხლის მედლები **თორნიკე ძამაშვილმა** (74) და **შოთა გოგისვანიძემ** (120) მოიპოვეს, მესამეზე კი **იაკობ ქაჯაია** (96) გავიდა. „თავისუფალთაგან“ ყველაშვილმა წლეულს ევროპაზეც ბრინჯაო მოიპოვა (იქ სხვა მედალი არც გვქონდა), ტალახაძემ და ხაბალაშვილმა კი ტაილანდში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. ურიგოდ არც პეტრიაშვილს უჭიდავია, ვინც ამ გუნდში ტალანტადაა მიჩნეული და უკვე ორივე ასაკში ბლომად მედლებიც მოიხვეჭა, მაგრამ მომავალ ჩემპიონთან, რუსთა დაღესტნელ **მაგომედგაჯი ნურასილოვთან** ვერაფერს გახდა, თუმცა ავარელი რომ ასაკგადაკეთებულია და რეალურად 23 წლისაა, ამას რუსულ ფორუმებზე იქაურები წერენ. სამწუხაროდ, ასაკით მანიპულირება ჭიდაობაში ვერა და ვერ აღმოიფხვრა.

ზოიძის არ იყოს, მსოფლიოს ზედიზედ მეორე ფინალი იჭიდავა ქუთაისელმა „ბერძენ-რომაელმა“ გოგისვანიძემ, თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად წააგო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა, უნგრელ **ბალინტ ლამს** გადაულოცა. გოგისვანიძე თუ გუნდის ლიდერია და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონისგან მედალს ველოდით, ძამაშვილი დებიუტანტი იყო და მისი მოულოდნელი წარმატება ორმაგად სასიხარულოა. საჭიდაო დინასტიის წარმომადგენელი ქაჯაია (მისი ძმა და ბიძაშვილიც ჭიდაობენ) სტაბილურია – წლეულს ევროპაზეც მესამეზე გავიდა.

მოჭიდავეთა ასაკობრივი ნაკრებების ამდენი მედალი კარგია, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ – ორივე გუნდმა, ჯამში, 10 ფინალი იჭიდავა, თუმცა, ამათგან მხოლოდ 1 მოიგო! თუ ამას ოლიმპიური გუნდის სტატისტიკასაც დავუმატებთ, სადაც სამიდან სამივე ფინალი წავაგეთ, აშკარაა – ჩვენს ფალავნებს დასკვნითი, გადამწყვეტი შეხვედრის მოგება უჭირთ. თან ეს ბოლო ორთაბრძოლა ყოველთვის შესვენების მერე ტარდება, როცა, წესით, ძალებაღდგენილი უნდა იყვნენ, მაგრამ ენერგია მაინც არ ჰყოფნით. აშკარაა, მიზეზი სავარჯიშო სისტემაშია და ამაზე გამახვილეს კიდეც ყურადღება ჭიდაობის ფედერაციაში – პრეზიდენტმა მდგომარეობის შესწავლა და ვითარების გამოსწორება მოითხოვა.

თუ მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა თაობამ უკვე დაამთავრა სეზონი და უმთავრეს შეჯიბრებებზე გამოსვლა დაასრულა, ახალგაზრდა ძიუდოისტები სულ მალე, 21-23 სექტემბერს, ხორვატულ პორეჩში, ევროპის ჩემპიონატში გამოვლენ. ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: **ლერი ჭელიძე**, **მინდია ღოლიჯაშვილი** (ორივე – 55), **ვაჟა მარგველაშვილი**, **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60), **ბექა ვიბლიანი**, **ბექა ტულუში** (66), **ლევან გუგავა**, **ფრიდონ გიგანი** (73), **ბექა ღვინიაშვილი**, **ბექა დონღვანი** (81), **ლაშა ტაველური**, **რევაზ წულუკიძე** (90), **გურამ თუშიშვილი**, **გიორგი ქავთარაძე** (100), **ლევან მატიაშვილი** და **როსტომ ხახალეიშვილი** (+100). შარშანდელი შემადგენლობიდან ამ გუნდში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჭელიძე, მარგველაშვილი, გიგანი, ქავთარაძე და ევროპის ვიცე-ჩემპიონი მატიაშვილი დარჩნენ, ხოლო მსოფლიოზე იმხანად ჯერ კიდევ ჭაბუკთა ნაკრების წევრები – ღვინიაშვილი და თუშიშვილიც წაიყვანეს გამოსაცდელად, ღვინიაშვილი მესამეზეც გავიდა.

ომარ გურჯიძე

თორნიკე ძამაშვილი

სიახლე!

წიგნის თვრო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი გაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

გამომცემლობა „ლიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი შემოთავაზებით.

გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი

თამარ ბეროზაშვილი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
032 295 80 23; 0790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ჯეჯოჯვიერთდით!

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი

- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები** ახალი
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა** ახალი
- მაინ რიდი - **კვარტერონი** ახალი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

CMYK